საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030615898844517

0177, თბილისი, მ. ასათიანის 9;

9 M. Asatianis st., Tbilisi, 0177, Georgia; Phone: (995-32) 39-89-46; 43-54-38; Fax:(995-32) 43-30-59 E-mail:ncdc@access.sanet.ge;ncdc@ncdc.ge

#06/605 **15 / თებერვალი / 2017 წ.**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრს
ბატონ დავით სერგეენკოს

ბატონო დავით,

როგორც თქვენთვის ცნობილია, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (შემდეგში -ცენტრი) ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა სამეცნიერო და საერთაშორისო საგრანტო პროექტების მართვა. ცენტრს საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის ხანგრძლივი და წარმატებული ისტორია აქვს და არაერთი საიმედო პარტნიორი ჰყავს, მათ შორის: აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრები (CDC), აშშ-ის თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტო (DTRA), აშშ-ის ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტები (NIH), ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO), გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA), გაეროს ბავშვთა საერთაშორისო ფონდი (UNICEF), აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია და მსოფლიოს ცხოველთა ჯანმრთელობის ორგანიზაცია (FAO/OIE), GAVI Alliance, მსოფლიო ბანკი (WB), ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, როსტროპოვიჩ-ვიშნევსკაის ფონდი და სხვა.

უკვე ორი ათეული წელია, ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს დონორ ორგანიზაციებთან ქვეყანაში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გაძლიერების, ჯანდაცვის სისტემის მდგრადობისა და ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, ასევე ბიომედიცინის, ადამიანური რესურსებისა და თანამედროვე მეთოდოლოგიების განვითარების მიმართულებით, მეცნიერული მიღწევებისა და ახალი აღმოჩენების გარეშე, წარმოუდგენელია საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროფილაქტიკურ ღონისძიებებზე დროული და საერთაშორისო სტანდარტების დონის რეაგირება, გადამდებ და არაგადამდებ დაავადებებზე უახლესი მიგნებების და აღმოჩენების გაზიარება, შესწავლა და ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, ახალი ლაბორატორიული აღჭურვილობისა თუ სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელება. შესაბამისად, ცენტრი ახორციელებს ჩვენი ქვეყნისათვის მნიშვნელოვან არაერთ საგრანტო-სამეცნიერო პროექტს. 2017 წლის მხოლოდ დასაწყისში უკვე გააქტიურებულია ოცდაცხრა საგრანტო პროექტი, წლის ბოლომდე დაგეგმილია არაერთ სხვადასხვა საერთაშორისო დონორ ორგანიზაციასთან ერთობლივი თანამშრომლობის განვითარება, რომლის შედეგად პროექტთა რაოდენობა, წინა წლების გამოცდილებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად გაიზრდება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შიდა სტრუქტურული ცვლილებების საფუძველზე, ცენტრში შეიქმნას საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველო, რომელიც საწყის ეტაპზე წარმოდგენილი იქნება 3 საშტატო ერთეულით, სამმართველოს უფროსისა და ორი მთავარი სპეციალისტის თანამდებობებით. აღნიშნული სტრუქტურული ერთეული უზრუნველყოფს ორგანიზაციულად კოორდინირებულ სამუშაო პროცესს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ბიომედიცინის სფეროში საერთაშორისო მიმართულებების კუთხით.

დამატებით გაცნობებთ, რომ ჩვენ მიერ წარმოდგენილი განახლებული საშტატო განრიგი არ ითვალისწინებს

საშტატო რიცხოვნობის ზრდას და დამატებით ფინანსურ სახსრებს სახელფასო ფონდისათვის. ამასთანავე, ახალი სტრუქტურული ერთეული ძირითადად დაკომპლექტდება ცენტრში დასაქმებული კვალიფიციური და ამ პროფილით გადამზადებული კადრებით.

"საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, შესათანხმებლად წარმოგიდგენთ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის 2017 წლის საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის პროექტს.

გთხოვთ, 2017 წლის განახლებული საშტატო ნუსხა და სახელფასო ფონდი ძალაში შევიდეს 2017 წლის 1 მარტიდან.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი ამირან გამყრელიძე